

Nº 10 (2020)

Heinrich Schnitger

**Zur Geltendmachung von Schadensersatz wegen nicht
gerechtfertigter Klagsicherungsmaßnahmen**

ჰაინრიჰ შნიტგერი

გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად
წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა



Implemented by

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

The findings, views, opinions and recommendations expressed in this paper are purely those of the author and do not necessarily reflect the views of GIZ.

წინამდებარე მოხსენებაში გამოთქმული მიგნებები, შეხედულებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და შეიძლება არ ასახავდეს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების შეხედულებებს

Autor: Heinrich Schnitger, retired Judge of the Bremen Amtsgericht (Germany)

ავტორი: ჰაინრიჰ შნიტგერი, ბრემენის სასამართლოს ყოფილი მოსამართლე

გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად წარმოშობილი ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნა

სარჩევი

1. სამართლებრივი ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საქმის გარემოებები	4
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით	4
3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3-ე მუხლის შედარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945 - თან	5
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შექმნა გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში	7
5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945-ით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების რეგულაციის არსი	8
6. ზიანის ანაზღაურების რეგულაციის არსი საბჭოთა სამოქალაქო პროცესში	10
7. სხვა შედარებით-სამართლებრივი მოსაზრებები.....	11
8. 199.3-ე მუხლის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საბოლოო დასკვნები	13
9. 199.3-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების რეგულაციები არ არის საბოლოო.....	16
10. დელიქტის საფუძველზე არსებული შესაძლო მოთხოვნა.....	17
11. შესაძლო მოთხოვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო.....	19
12. დასკვნები	20

წარმოდგენილი სტატია მსუბუქად შეცვლილი სამართლებრივი დასკვნაა, რომელიც ერთ-ერთი სასამართლო დავის ფარგლებში მოვამზადე. ის შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცენტრალურ საკითხს. ამ საკითხის წამოჭრა სამართლებრივ სივრცეში ფართოდ უნდა მოხდეს. რასაც ჩემი მოსაზრებით, შედეგად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძვლიანი რეფორმა უნდა მოჰყვეს. დავის ფაქტობრივი გარემოებები პრობლემას მწვავედ ააშკარავენს, თუმცა სამართლებრივ პრაქტიკაში სავარაუდოა სხვა შემთხვევების არსებობაც, სადაც საკანონმდებლო მოწესრიგების ნაკლოვანება ვლინდება.

1. სამართლებრივი ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საქმის გარემოებები

მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, წინა სასამართლო პროცესში, 2015 წლის მარტიდან 2017 წლის თებერვლამდე პერიოდში, მის წინააღმდეგ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით მოსარჩელეს აეკრძალა უძრავი ქონების განკარგვა. საზოგადოების მაჟორიტარ მეწილე მოსარჩელეს, რომელიც საზოგადოების 89% -იან წილს ფლობდა, აეკრძალა საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრებაზე თავისი უფლებების განხორციელება, თუ ამავდროულად, ამჟამინდელი მოპასუხე კრებაზე არ იქნებოდა წარმოდგენილი, რომელიც როგორც მინორიტარი პარტნიორი, ფლობდა საზოგადოების 11%-იან წილს. ამგვარად ყადაღა დაედო მოსარჩელის მთლიან უძრავ ქონებას. მას არ გააჩნდა აღნიშნული ქონების გასხვისების უფლება მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოადგენდა მის ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას. საზოგადოების მინორიტარმა პარტნიორმა და ამჟამინდელმა მოპასუხემ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის მარტში დააყენა სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა. ამჟამინდელი მოსარჩელისა და საზოგადოების მაჟორიტარული პარტნიორის, რომელიც ამასთანავე საზოგადოების დირექტორია, წინააღმდეგ შეტანილი სარჩელით ამჟამინდელი მოპასუხე ითხოვდა საზოგადოებიდან გასვლას, კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ. ის მოთხოვნას აფუძნებდა საზოგადოების პარტნიორებს შორის დადებული ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულება ამავდროულად შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. პროცესის მოპასუხეებმა სარჩელთან დაკავშირებით წარდგენილ შესაგებელში, ვადის დაცვით, დააყენეს საარბიტრაჟო დათქმის შესაგებელი. გარდა ამისა, მათ წარუმატებლად გაასაჩივრეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული განჩინება. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის ნოემბერში არბიტრაჟის განსჯადობის საფუძველით შეწყვიტა საქმის წარმოება. იმჟამინდელი მოსარჩელის მიერ ამ განჩინების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი 2017 წლის თებერვალში სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. აღნიშნულის შემდგომ დღემდე, მოპასუხეს არ დაუწყია საარბიტრაჟო წარმოება.

ამკარაა, რომ კომპანიას ზიანი მიადგება იმ შემთხვევაში, თუკი მას თითქმის ორი წლის განმავლობაში ეკრძალება მისი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება და თუკი კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებას ხელი ეშლება მინორიტარი პარტნიორის მიერ გადაწყვეტილების დაბლოკვის შესაძლებლობით. აქ არ განვიხილავთ საკითხს, წარმოიშვა თუ არა და რა მოცულობის იყო ქონებრივი ზიანი. ქვემოთ განხილულია, თუ რა საფუძველები არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებისთვის იმ დაშვებით, რომ ზიანი ფაქტობრივად დადგა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები თანხმდებიან იმაზე, რომ 199.3 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა არ არსებობს. ეს მიდგომა არ იცვლება იმ შემთხვევაშიც, თუკი მოსარჩელეს უზრუნველყოფის ღონისძიებების საფუძველზე ზიანი დანამდვილებით წარმოეშვა. აღნიშნული დასკვნა სასამართლოებს გამოაქვთ კანონის ვიწრო, სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3 მუხლი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ორ შემთხვევაში: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ერთის მხრივ სახეზეა იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული იქნა სარჩელის შეტანამდე, შემდეგ კი შეწყდა, რადგანაც დადგენილ ვადაში სარჩელი არ იქნა წარმოდგენილი (სსსკ-ის 192.2-ე მუხლი ან ამჟამად ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³⁰.2-ე მუხლი). ამ შემთხვევაში სადავო არ არის რომ ეს მოცემულობა არ არსებობდა. მეორე ალტერნატივის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სახეზეა, თუკი აღმოჩნდება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გაუმართლებელია, რადგანაც სარჩელი უარყოფილ იქნა, რაც კანონიერ ძალაში შევიდა. წინამდებარე სამართლებრივ დავაში საქმე ეხება საკითხს, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული აღნიშნული ალტერნატივა. ორივე სასამართლო გამოდის იქიდან, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი, როგორც დაუსაბუთებელი, სასამართლოს არსებითი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდება. ისინი საქმის წარმოების შეწყვეტას მხარეთა შორის შეთანხმებული საარბიტაჟო დათქმის არსებობის გამო არ მიიჩნევენ საკმარისად.

ამ განმარტების სივიწროვეზე მიუთითებს ის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3 მუხლის დასახელებული მეორე ალტერნატივა ორი ელემენტისგან შედგება. ერთი ელემენტი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღმოჩნდეს სამართლებრივად გაუმართლებელი. მეორე ელემენტი მდგომარეობს იმაში, რომ სარჩელი უარყოფილ უნდა იქნას კანონიერ ძალაში შესვლით. პირველი ელემენტი მოიცავს შინაარსობრივ რევიზიას (გადამოწმებას), მეორე ელემენტი არის ფორმალური, ვინაიდან ის მხოლოდ სარჩელის უარყოფას მოიცავს. ამგვარად შეგვიძლია და უნდა დავასკვნათ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი აღმოჩნდება, თუკი საბოლოოდ სარჩელი არ დაკმაყოფილდება. მაგრამ შებრუნებული დასკვნის გამოტანა, რომ ეს მხოლოდ ამგვარ შემთხვევაშია ასე, შეუძლებელია. არსებობს გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელია, ისე, რომ გადაწყვეტილებით არ მომხდარა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3-ე მუხლის ვიწრო განმარტების თანახმად, მოპასუხე ასეთ შემთხვევებში თავად დარჩებოდა ზიანის მატარებელი იმ შემთხვევაშიც, თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი აღმოჩნდებოდა. სააპელაციო სასამართლო კიდევ ერთი ნაბიჯით წინ მიდის. ის გამოდის იქედან, რომ გამორიცხულია ასევე მოთხოვნა დაემყაროს სხვა საფუძვლებს, ვინაიდან 199.3-ე მუხლს, როგორც სპეციალურ რეგულაციას, უპირატესობა გააჩნია.

მე ვიზიარებ აზრს, რომ 199.3-ე მუხლის თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ყოველთვის უნდა არსებობდეს იმ შემთხვევაში, თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ აღმოჩნდება გამართლებული. ასევე დელიქტიდან და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნებს არ მივიჩნევ გამორიცხულად, თუ სახეზეა ამგვარი მოთხოვნის შესაბამისი წინაპირობები.

3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199.3 მუხლის შედარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945 - თან

ჩემი მოსაზრება შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებულ პარალელურ რეგულაციას § 945-ში. ნორმის კლასიფიკაციისათვის უნდა გაკეთდეს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიაში არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. არსებობს დროებითი სამართლებრივი დაცვის ორი

მეთოდი, კერძოდ, ყადაღა (§§ 916 ff.) და წინასწარი განკარგვა (§§ 935 ff.). საქმე ეხება დამოუკიდებელ პროცესს, რა შემთხვევაშიც ყადაღა ყველაზე ახლოსაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან. დაყადაღების პროცესი შესაძლებელია დაიწყოს სასარჩელო პროცესისგან დამოუკიდებლად - განსაკუთრებული აუცილებლობის გამო. როგორც წესი, ეს ასეც ხდება. პარალელური პროცესი უნდა დაიწყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ამას დაადგენს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყადაღის გამოყენება განმცხადებელს მაღალ მოთხოვნებს უყენებს და აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ ყადაღის აღსრულება დამოკიდებულია იმაზე, რომ განმცხადებელს მოპასუხის შესაძლო ზიანზე წინასწარ აქვს წარმოდგენილი უზრუნველყოფა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 921 თანახმად ეს სავალდებულოდ გასათვალისწინებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ყადაღის მოთხოვნა ან ყადაღის საფუძველი არ არის დამაჯერებელი. სხვა შემთხვევაში ეს სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს. თუმცა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება მოპასუხის მოსაზრების წინასწარი მოსმენის გარეშე, სასამართლოს მიერ განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული მოპასუხის ინტერესები.

ყადაღისა და დროებითი განკარგვის პროცესის მარეგულირებელი ნორმები თითქმის იდენტურია. ყადაღა შესაძლებელია დაწესდეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფულად მოთხოვნას, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება დროებითი განკარგვა. დროებითი განკარგვით შესაძლებელია არა მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფა, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი რეგულირება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 940). ორივე შემთხვევაში მოქმედებს წესი, რომ განმცხადებელმა „დამაჯერებლად“ უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა (განკარგვის მოთხოვნა), არამედ გადაუდებლობის საფუძველი (განკარგვის საფუძველი). ეს შესაძლებელია ასევე განიმარტოს, როგორც „დასაბუთება შედარებით დაბალი წინაპირობებით მტკიცების სტანდარტისადმი“¹. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. ფორმალურ პროცესში. ამიტომ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ის გადაისინჯოს ჩვეულებრივი პროცესის ფარგლებში. არ არის აუცილებელი რომ ეს იყოს მოთხოვნის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაწყებულ პროცესში. ვინაიდან, ყადაღის პროცესში (და დროებითი განკარგვის პროცესში) გერმანიაში საქმე გვაქვს დამოუკიდებელ პროცესებთან. ხშირად საერთოდ არ გვაქვს სასარჩელო პროცესები, რომელთა დროსაც მოსარჩელე თავად აყენებს სასარჩელო მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მოპასუხემ იმთავითვე აღძრას ზიანის ანაზღაურების სარჩელი, რომლის ფარგლებშიც გადაისინჯება, გამართლებულია თუ არა ყადაღის გამოცემა.

საქართველოში სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია იმგვარად იქნა შემდგომ პერიოდში შეცვლილი, რომ წინაპირობები გაფართოვდა და შეიზღუდა ნორმის გამოყენების სფერო. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყადაღა გერმანიასთან შედარებით საქართველოს პრაქტიკაში გაცილებით ხშირად და გაცილებით მარტივად გამოიყენება.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945, ზიანის ანაზღაურების ჩანაწერში გვამლევს ორ რეგულაციას, რომელიც საქართველოში მოქმედი 199.3-ე მუხლის მსგავსია. ერთი ალტერნატივა წმინდა ფორმალური ხასიათისაა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არსებობს, თუკი მოპასუხე დადგენილ ვადაში არ აღძრავს სარჩელს. მეორე

ალტერნატივა იმგვარადაა ფორმულირებული, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არსებობს, თუკი ყადაღის (ან დროებითი განკარგვის) დაწესება იმთავითვე გაუმართლებელი აღმოჩნდება. თუმცა ქართული რეგულაციისგან განსხვავებით ღიად ტოვებს საკითხს, თუ რა შემთხვევებს გულისხმობს ეს. ნებისმიერი მიზეზი, რომლითაც უზრუნველყოფა გაუმართლებელი აღმოჩნდება, საკმარისია.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შექმნა გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში

საქართველომ თავისი სამართლის სისტემა დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ საფუძვლიანად გარდაქმნა. აღნიშნული განსაკუთრებულად ცხადია სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე, რადგანაც საქართველო არ მიჰყვა დსთ-ის სახელმწიფოების კანონმდებლობის მოდელს. აღნიშნული ასევე შეეხება სამოქალაქო პროცესსაც, სადაც პროკურატურის როლის მოხსნით, ზედამხედველობისა და უზენაესი სასამართლოს ნორმატიული დადგენილებების მოხსნით, ასევე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის შემოღებით საქართველო თანმიმდევრულად დაადგა სრულიად ახალ გზას. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ზოგადად საპროცესო სამართალში ჯიუტად ხდება ტრადიციების შენარჩუნება. აღნიშნული ასევე შეიმჩნევა ევროკავშირში საპროცესო სამართლის ჰარმონიზაციისას და აქედან გამომდინარე საერთოდ არ არის გასაკვირი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტი შეიქმნა გერმანელსა (პროფესორი დოქტ. ჰელმუტ ჰაინრიხსი) და ქართველს (პროფესორი დოქტ. თენგიზ ლილუაშვილი) შორის მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. ეს არ იყო მარტივი ამოცანა. საჭირო იყო საბჭოთა სამოქალაქო პროცესისათვის მახასიათებელი სპეციფიკური დებულებების გადალახვა, ამასთანავე არ იყო აუცილებელი და არც მიზანშეწონილი, რომ უბრალოდ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ყოფილიყო გადმოტანილი. პროექტი შედგენილი იქნა საპროცესო სამართლის ორი გამოცდილი მეცნიერის/პრაქტიკოსის მიერ, რომელთა სოციალიზაციაც მოხდა ორ სრულიად განსხვავებულ საზოგადოებაში.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მოქმედებდა თითქმის ერთნაირი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდგომში სსკ). რუსეთის სსკ, რომელსაც მე მოცემულ შემთხვევაში ვეყრდნობი, მომდინარეობს 1964 წლიდან. დასავლელი მეცნიერების მიერ იმ დროისათვის განხორციელდა მისი ანალიზი და გამოკვლეული იქნა ის ნიშნები, რომლებიც სპეციფიკური იყო საბჭოთა კავშირის სამოქალაქო პროცესისათვის². თუმცა ამასთანავე გამოყოფილი იქნა თანხვედრები დასავლეთის ქვეყნების სხვადასხვა რეგულაციებთან. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ახალი სსკ-ის პროექტის შედგენისას წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით საქმე ეხებოდა იმას, თუ რომელ საფუძველზე უნდა მომხდარიყო დაყრდნობა. წინამდებარე პროცესისათვის რელევანტური ნორმების შემთხვევაში, ეს უდავოდ იყო რუსეთის 1964 წლის სსკ. ნორმები ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად სიტყვა-სიტყვით იქნა გადმოტანილი. აღნიშნული შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის (1964 წლის რუსეთის სსკ მუხლი 123 და შემდეგი.) ნორმებს, ასევე პროცესის შეწყვეტასთან დაკავშირებულ ნორმებს (1964 წლის რუსეთის სსკ მუხლი 219 და შემდეგი). მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ორი რამ: ამ რუსული ტრადიციის მიხედვით პროცესი წყდება, თუ არსებობს პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი, როგორცაა მაგალითად, საარბიტრაჟო დათქმის არსებობა. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასეთ შემთხვევებშიც სარჩელზე უარის თქმა ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების (Urteil) საფუძველზე (მდრ.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალი § 1032). ორივე შემთხვევაში საერთოა ის, რომ ისინი პროცესს საბოლოოდ ასრულებენ (შდრ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლი).

ჩემთვის არ არის ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შექმნის ისტორიის შესახებ დოკუმენტაცია. ჩემი მცირედი ცოდნა შემოიფარგლება მხოლოდ მაშინდელ ავტორებთან საუბრებიდან მიღებული ინფორმაციით. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნორმების შემთხვევაში, დასკვნების გამოტანა შესაძლებელია რუსეთის სსკ-ის ნორმებისგან გადახვევების გაანალიზებით. ამგვარად, მაგალითად სსკ-ის 192-ე მუხლში გათვალისწინებული რეგულაცია მომდინარეობს გერმანული ტრადიციიდან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში წინაპირობას არ წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში უკვე არსებობა. სავარაუდოდ გერმანული ტრადიციიდან უნდა იყოს ასევე აღებული ის, რომ ეს დასაშვებია არა მარტივი აუცილებლობის, არამედ მხოლოდ „განსაკუთრებული აუცილებლობის“ შემთხვევაში. გერმანიის ტრადიციის ამოცნობა ასევე შესაძლებელია სსკ-ის 191-ე მუხლის ფორმულირებაში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ განაცხადი შეიცავდეს იმ ფაქტს, რომლიდანაც გამომდინარეობს როგორც სარჩელის წარმატების პერსპექტივა, ასევე უზრუნველყოფის ღონისძიებების აუცილებლობა. ეს გვახსენებს იმას, რომ გერმანულ ყადაღის პროცესში განმცხადებელმა „დამაჯერებლად“ უნდა დაასაბუთოს როგორც სარჩელის წარმატების შანსი, ისე ყადაღის აუცილებლობა. რუსეთის სსკ (მუხლი 133) ამას არ ითვალისწინებდა, რაც აიხსნება იმით, რომ სასამართლოს ნებისმიერ დროს თავად შეეძლო გაეცა განკარგულება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ასევე გერმანულ გავლენას ვხედავ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული რეგულაციის ფორმულირებისას. რუსეთის სსკ ითვალისწინებდა, რომ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მოთხოვნილი ყოფილიყო მას შემდეგ, რაც სარჩელი სამართლებრივად არ იქნებოდა მიღებული³. 1923 წლის რუსეთის სსკ-ის შესაბამისი რეგულაციაც მსგავსი⁴ იყო. ამგვარად, ორივე საპროცესო სამართალი მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევას ითვალისწინებს და წმინდა ფორმალურად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას დამოკიდებულს ხდის სარჩელის არ მიღებაზე. მე ვვარაუდობ, რომ სსკ-ის 199-ე მუხლის ფართო რეგულაცია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა „აღმოჩნდეს გაუმართლებელი“, გერმანული ტრადიციიდან იღებს სათავეს. შერჩეული ლექსიკა სრულიად ცხადად შეესაბამება გერმანიის საპროცესო კოდექსის § 945 ფორმულირებას⁵. ორი საკანონმდებლო ტრადიციის ქართულ სსკ-ში შერწყმამ განაპირობა იმგვარი არაცალსახა რეგულაცია, როგორც წარმოდგენილია ზემოთ მე-2 თავში.

ქვემოთ გავაკეთებ რამდენიმე შენიშვნას დასახელებულ ორ საკანონმდებლო ტრადიციასთან დაკავშირებით. დამატებითი შედარებით სამართლებრივი განმარტებების შესაბამისად მე წარმოვადგენ ჩემს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნას განმარტებული და გამოყენებული სსკ-ის 199.3-ე მუხლი.

5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945-ით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოწესრიგების არსი

ზიანის ანაზღაურების რეგულაცია გამომდინარეობს იმ ძირითადი დაშვებიდან, რომ ყადაღის წარმოება (ან დროებით განკარგვაში გადაცემის წარმოება) გადახვევაა იმ

ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოებისგან, რომლის დასრულებას მოსდევს საბოლოო იძულებითი აღსრულება. პროცესის ნორმალური მსვლელობა მდგომარეობს იმაში, რომ თავდაპირველად სასარჩელო პროცესში დგინდება მოთხოვნის არსებობა და მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეიძლება მოხდეს იძულებით აღსრულება. ყადაღის პროცესი ატრიალებს აღნიშნულ თანმიმდევრობას იმით, რომ ჯერ კიდევ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ხორციელდება წინასწარი (უზრუნველყოფი) აღსრულება. ყადაღის პროცესი (ისევე, როგორც დროებით განკარგვაში გადაცემა) წარმოადგენს ფორმალურ პროცესს (summarisches Verfahren), რომლის ფარგლებშიც საქმის გარემოებებთან დაკავშირებით არ ხდება სრული მტკიცებულებების შესწავლა. აქედან გამომდინარე, შემდგომში შესაძლებელია დადგინდეს, რომ აღსრულება არ იყო გამართლებული. დაშვებები, რომლებიც ყადაღის დადებისას გაკეთდა, შესაძლებელია მოგვიანებით არასწორი აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945 ფორმულირება, რომელიც გადატანილი იქნა ასევე საქართველოს სსკ-ში და რაც მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება „აღმოჩნდება გაუმართლებელი.“

კითხვასთან მიმართებით, თუ მხარეთაგან რომელი ატარებს ზემოაღნიშნულ რისკს, გერმანიაში უკვე დიდი ხანია არსებობს დამკვიდრებული ტრადიცია, რომ ეს მოსარჩელეა, პირი, რომელმაც დააყენა ყადაღის მოთხოვნა. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1904 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ § 945-ით გათვალისწინებული ნორმა ემყარება იმ სამართლებრივ მოსაზრებას, რომ კრედიტორმა, რომელიც „წესების წინააღმდეგ“ იყენებს დაუყოვნებლივი აღსრულების შესაძლებლობას, საკუთარ თავზე უნდა აიღოს რისკი და აქედან გამომდინარე, მისი ბრალეულობის მიუხედავად, მოვალეს უნდა აუნაზღაუროს ზიანი, თუკი აღმოჩნდება, რომ დაუყოვნებლივი აღსრულება გაუმართლებელია⁶. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ყადაღა დაინტერესებული პირის პირად სფეროში საშიშ, ღრმა ჩარევას წარმოადგენს, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ფორმალურ პროცესში უბრალო დასაბუთების საფუძველზე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ გაბატონებული თეორია გამომდინარეობს იქედან, რომ ეს არის მომეტებული საფრთხის პასუხისმგებლობის შემთხვევა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი იძლევა ყადაღის მოთხოვნის და შემდგომში მისი აღსრულების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სამართლებრივად დადგენილი არ არის განმცხადებლის მოთხოვნის არსებობა. თუკი ეს აღმოჩნდება გაუმართლებელი, განმცხადებელმა უნდა აანაზღაუროს წარმოქმნილი ზიანი ისე, რომ ის ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ ყადაღის მოთხოვნა დაშვებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და რომ მან ბრალეულობის გარეშე ივარაუდა, რომ მას ჰქონდა აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნა. ამ მოთხოვნის გათანაბრება მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე პასუხისმგებლობის სხვა ფორმებთან, ლოგიკურია. იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე საკუთარი ავტომობილით ბრალეულობის გარეშე გამოიწვევს ზიანს, ის ვერ დაეყრდნობა იმას, რომ ავტომობილით მგზავრობა ნებადართულია. ის პასუხს აგებს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ავტომობილით მგზავრობა საფრთხეს უქმნის სხვებს.

აქედან გამომდინარე, გერმანული ტრადიცია ხაზს უსვამს იმას, რომ ყადაღა და დროებითი განკარგვა მხოლოდ წინასწარ რეგულაციებს წარმოადგენს, რომლებიც, როგორც ჩვეულებრივი სასარჩელო პროცესიდან გადახრა, განმცხადებელს საგამონაკლისო სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ზიანის

ანაზღაურების წესები, როგორც აუცილებელი გათანაბრება, მიმართულია მთლიანად იმის დაცვისკენ, ვინც ყადაღის შედეგად ზიანი განიცადა. იგივე რეგულაციები მოქმედებს, თუკი სხვა შემთხვევებში სამართლებრივ ძალაში შესულ გადაწყვეტილებამდე აღსრულება გაუმართლებელი აღმოჩნდება, ასე მაგალითად საარბიტრაჟო სასამართლოს დროებითი განკარგულების (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი § 1041 აბზაცი 4) ან განჩინების გაუქმების (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი § 717 აბზაცი 2) შემთხვევაში, რომელიც მხოლოდ დროებით იყო აღსრულებადი. აღნიშნული შესაძლებელია შეჯამებული იქნას იმგვარად, რომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებამდე აღსრულება წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს, ხოლო ზოგადი პრინციპია, რომ კრედიტორმა ყოველგვარი ბრალეულობის არსებობის გარეშე უნდა აანაზღაუროს ზიანი, თუკი წინასწარი აღსრულება არ იყო გამართლებული. ეს მიდგომა არ შეესაბამება ზიანის ანაზღაურების რეგულაციის ისტორიულ არსს საბჭოთა სამოქალაქო პროცესში.

6. ზიანის ანაზღაურების რეგულაციის არსი საბჭოთა სამოქალაქო პროცესში;

თვით სახელწოდებაში „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები“ შესაძლებელია დავინახოთ, რომ საბჭოთა კანონმდებელი გაცილებით მეტ ყურადღებას იმისკენ მიმართავდა, რომ უზრუნველყოფა მოსარჩელის უფლებები. ის გამოდიოდა იმ სრულიად მართებული წარმოდგენიდან, რომ მოსარჩელეს არაფერში დაეხმარება, თუ ის მიიღებს მისთვის სასარგებლო ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ვერ აღსრულდება. ამასთან მთელი სამოქალაქო პროცესი ორ მოდავე მხარეს შორის წმინდა კერძო-სამართლებრივ საკითხს არ წარმოადგენდა. საქმე ყოველთვის ასევე შეეხებოდა საზოგადოებრივ საკითხებს, რაც სხვათა შორის ასევე ეტყობოდა პროცესის შესაძლო მონაწილეების წრესაც. სასამართლოს ამოცანას უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა იმაზე ზრუნვა, რომ გადაწყვეტილება აღსრულებულიყო. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები აიხსნება სასამართლოს აღნიშნული ამოცანიდან გამომდინარე.

1964 წლის რუსეთის სსკ-ის ძალაში შესვლიდან მოკლე დროის შემდეგ, ერთმა გერმანელმა მეცნიერმა შენიშნა, რომ საბჭოთა კანონმდებელმა, სისხლის სამართლის საქმეებში სასამართლო განხილვის რეგულაციები სისხლის სამართლის პროცესიდან მარტივად სამოქალაქო პროცესში გადაიტანა.⁷ აღნიშნული იმ უჩვეულო მოვლენამდეც კი მივიდა, რომ სამოქალაქო პროცესში „საპაექრო სიტყვა“, რეპლიკა უნდა ჰქონოდა მოპასუხეს, ისევე როგორც ეს აქვს ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში. 1964 წლის რუსეთის სსკ-ის 186-ე მუხლის რეგულაცია სიტყვა-სიტყვით შესულია საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის პირველ ნაწილში. როგემანის მიერ ეს იმგვარად იქნა შეფასებული, რომ ამით ერთგვარად გაგრძელებული იქნა საბჭოთა სამოქალაქო პროცესის „კრიმინალიზაცია“. ცალსახაა, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის „სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას“ ისევე როგორც სისხლის სამართლის პროცესში საქმე გვაქვს ბრალდებულის „სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან“. პროკურორს შეეძლო გარკვეულ შემთხვევებში მოსარჩელის უფლებების დაცვა, მაგრამ წარმოდგენილი იყო ის, რომ პროკურორი მოპასუხის უფლებების წარმომადგენელი ყოფილიყო. სამოქალაქო პროცესი გაგებული იყო იმგვარად, რომ განიხილებოდა მოპასუხემ ჩაიდინა თუ არა არამართლობიერი ქმედება. პროცესი არ იყო გაგებული იმგვარად, რომ განხილული ყოფილიყო თუ რომელი იყო მართალი - მოსარჩელე თუ მოპასუხე.

მოპასუხის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო გათვალისწინებული, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იყო დაკისრებული და არა იმ შემთხვევაში, როცა ეს ღონისძიებები ეფუძნებოდა პროკურორის განცხადებას ან განკარგულება სასამართლოს ინიციატივით იყო გაცემული. საბჭოთა სამოქალაქო პროცესის თეორია იმგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ზოგად პრინციპად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იყო მიჩნეული, მოპასუხეს კი მხოლოდ გამონაკლისის სახით შეეძლო დაეყენებინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის დავები სამოქალაქო პროცესის ფარგლებში კი არ განიხილებოდა, არამედ არბიტრაჟების მიერ, რა დროსაც მათი სასამართლოებად ან ავტორიზებულ დავის განმხილველ ინსტიტუტებად მიჩნევა წინააღმდეგობრივი იყო. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესში ვერ გვექნებოდა საქმე ფართომასშტაბიან ეკონომიკურ ზიანთან. 1923 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებულ დავებში განსაკუთრებულად იყო ხაზგასმული სარჩელის უზრუნველყოფის განკარგულების გამოცემის⁸ სავალდებულობა. მე ვფიქრობ, რომ უმეტესწილად საქმე შეეხებოდა ამგვარ საქმეებს ან ქორწინების შემდგომ ქონებასთან დაკავშირებულ ან გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. მხოლოდ მოკლევადიანი ყადაღა არსებულ ეკონომიკურ სისტემაში, ალბათ, ვერ გამოიწვევდა რაიმე დიდ ზიანს.

7. სხვა შედარებით-სამართლებრივი დაკვირვებები

გერმანულ მოწესრიგებას ყველაზე მეტად ჰგავს ავსტრიასა⁹ და შვეიცარიაში¹⁰ მოქმედი რეგულაციები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ქვეყნების რეგულაციები პრინციპში გერმანულის იდენტურია. ისინიც დიდი ხნის ტრადიციებს ეფუძნება და შესაბამისად, მტკიცედ დამკვიდრებულ პრაქტიკასაც. ავსტრიის შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ რეგულაცია წარმოდგენილია სააღსრულებო და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება იძულებით აღსრულებას, რაც როგორც წმინდა „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების“ რეგულაციის შემთხვევაში თვალთახედვის მიღმა რჩება. [ავსტრიის კანონის] § 394 - ში ფორმულირება იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ ის შესაძლებელია საქართველოს სსკ - ის 199.3-ე მუხლის ინტერპრეტაციისთვისაც იქნას გამოყენებული: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სახეზეა, თუკი სავარაუდო მოთხოვნა, რომელზეც გაცემულია უზრუნველყოფა, საბოლოოდ გაუქმებულია ან თუკი სარჩელი სხვაგვარად გაუმართლებელი აღმოჩნდება¹¹. ამის პარალელურად აღნიშვნის ღირსია ის, რომ სასამართლომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარდა შესაძლებელია დააკისროს „ჯარიმა წინასწარ განზრახვისათვის“, თუკი გამოირკვევა, რომ წინასწარი განკარგულებით გადაცემა „ცალსახად წინასწარ განზრახული“ ხასიათის მატარებელი იყო. შვეიცარიის სამოქალაქო საპროცესო სამართალი კი, პირიქით, ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების შემცირებას, თუკი განმცხადებელი დაადასტურებს, რომ განაცხადი „კეთილსინდისიერად“ დააყენა. თუმცა ეს გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის მტკიცების ვალდებულებაც განმცხადებელს ეკისრება.

აღნიშნული ნორმების ფორმულირებიდან და შვეიცარიაში მოქმედი რეგულაციების ჩემთვის ხელმისაწვდომი კომენტარებიდან, გასაგები ხდება, რომ ყადაღის დადებისას

სასამართლო პრაქტიკა შვეიცარიაში ისეთივე თავშეკავებულია, როგორც გერმანიაში. ყადაღა ყოველთვის ძალაში შედის მხოლოდ მოპასუხის შესაძლო ზიანზე განმცხადებლის მიერ წინასწარი უზრუნველყოფის წარმოდგენის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ეს საქართველოში არ არის მიღებული პრაქტიკა და ამას ადგილი არ ჰქონია მოცემულ შემთხვევაშიც. თუ როგორი პრაქტიკაა დამკვიდრებული საბჭოთა კავშირის სხვა მემკვიდრე სახელმწიფოებში, ამის შეფასება მე არ ხელმეწიფება. თუკი ამ სახელმწიფოებმა ფორმულირებები საბჭოთა სამოქალაქო პროცესიდან გადმოიღეს, მაშინ არსებობს ტენდენცია იმისა, რომ გადმოღებული იქნა ასევე საბჭოთა სამოქალაქო პროცესის თეორიაც. იმ შემთხვევაში, თუკი ფორმულირებები მნიშვნელოვანწილად განსხვავებულია, შესაძლებელია, რომ თეორია და პრაქტიკა ძირეულად იყოს შეცვლილი. თუმცა, თავად რუსეთში, სადაც ისეთი ინსტიტუციები, როგორცაა პროკურატურა სამოქალაქო პროცესში ან საზედამხედველო წარმოება, საბჭოთა დროიდან შემორჩა, არსებობს ცვლილებები, რომლებიც მიუთითებს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე მორგების ტენდენციაზე. საქართველოში მოქმედი იურისდიქციაც ასევე უნდა დაშორდეს მცდარ ტრადიციებს და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას უფრო მეტად გაითვალისწინოს ის, რომ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილების არ არსებობის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის სრული სასამართლო შემოწმების გარეშე უზრუნველყოფის ღონისძიება ღრმად იჭრება მოპასუხის უფლებებში.

განსაკუთრებულად ზოგადია რეგულაცია სომხეთის სსკ-ში, ვინაიდან აქ გვაქვს სრულიად ზოგადი ფორმულირება, რომ მოპასუხეს გააჩნია მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება¹². მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს ფორმალური მოთხოვნები როგორცაა ის, რომ სარჩელი უნდა იყოს უარყოფილი. ესტონეთის სსკ ჩამოთვლის სხვადასხვა შესაძლებლობებს, რომლებიც ეხება შემთხვევებს როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიებები არ იყო გამართლებული.¹³ ამასთან სარჩელის უარყოფა წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ვარიანტს, რა დროსაც მნიშვნელობა არ აქვს, სარჩელი უარყოფილია პროცესუალური დაბრკოლებების არსებობის გამო, თუ იმიტომ, რომ მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული. ლატვიაში არსებული რეგულაციები პროცესის შეწყვეტას მიიჩნევს ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარის საფუძვლად¹⁴. აღნიშნული ნორმიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სახეზეა, თუკი გამოვლინდა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ იყო გამართლებული.

საინტერესოა განვითარების პროცესი თავად რუსეთში. როგორც ჩანს, აქ ხშირი იყო სამართლებრივი დავები, რომლებიც შეეხებოდა დავას საზოგადოების პარტნიორებს შორის. ამასთან, მოსარჩელებისათვის ხშირად მხოლოდ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოყენებულიყო. საარბიტრაჟო სასამართლოსთან დაკავშირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების ცვლილებიდან შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ თავდაპირველი ტრადიციული ფორმულირება, რომ ზიანის ანაზღაურება მხოლოდ სარჩელის არ დაკმაყოფილების მთხვევაში ხდებოდა, მიჩნეული იქნა ძალზედ ვიწროდ. დღეს ასეთი ფორმულებები აღარ არის განხილვის საგანი, არამედ ზიანის ანაზღაურება პროცესის შეწყვეტის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი.¹⁵

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ 2002 წელს გადასინჯული იქნა, შეესაბამებოდა თუ არა რუსეთის სსკ-ის შესაბამისი ნორმა კონსტიტუციას.¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ იმჟამად - ნორმის ტექსტის საპირისპიროდ -

სავალდებულოდ დაადგინა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროცესი არა გადაწყვეტილებით, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტით დასრულდება. ამასთან სახელმძღვანელოდ მიჩნეული იქნა კონსტიტუციით გამყარებული მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი. როგორც ჩანს, ამჟამად ეს დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.¹⁷

8. 199.3 მუხლის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული შემაჯამებელი დასკვნები

ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვის საფუძველზე საქართველოსთვის უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ სსკ-ის 199.3-ე მუხლის თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამოკიდებული არ არის იმაზე, რომ სარჩელი უარყოფილი იქნა არსებითი გადაწყვეტილებით. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ყოველთვის უნდა არსებობდეს მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ იყო გამართლებული. იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულ იქნა ყადაღა, არ არსებობს, შესაბამისად, ამით სამართლებრივად ასევე დადგინდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება არ იყო გამართლებული. ცხადია, არსებობს სხვა მსგავსი შემთხვევებიც, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება არ არის გამართლებული. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმასთან გათანაბრებულ შემთხვევას მაგალითისათვის ცალსახად ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს სასარჩელო მოთხოვნაზე. ასეთ დროს პროცესი წყდება სსკ-ის 272-ე მუხლის გ ქვეპუნქტის თანახმად. ამ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სსკ-ის 199.3-ე მუხლის ვიწრო განმარტებით არ იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. თუმცა ეს შემთხვევა აშკარად ისევე უნდა იქნას განხილული, როგორც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩემთვის ცნობილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სხვა შემთხვევაში აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა¹⁸. სასამართლოს არ წარმოუდგენია დასაბუთება, ვინაიდან სავარაუდოდ ცალსახად სწორად მიიჩნია, რომ სარჩელზე დაუსაბუთებლობის გამო უარის თქმა უთანაბრდება მოსარჩელის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველით პროცესის შეწყვეტას. გერმანიაში ეს ფაქტობრივადაც ასეა და დავა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 306-ის თანახმად, სარჩელზე უარის გადაწყვეტილებით დასრულდებოდა. ის, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოში სსკ-ის 272-ე მუხლით პროცესი წყდება, გვიჩვენებს, რომ ეს მხოლოდ ფორმალური გადახვევაა, რომელზეც არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სსკ-ის 199.3-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობა ან არარსებობა.

არ არსებობს არავითარი დამაჯერებელი საფუძველი იმისათვის, რომ ზიანის ანაზღაურების წესები გამოყენებოდეს მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში. 272-ე მუხლი შეწყვეტას ითვალისწინებს იმ ცალკეულ შემთხვევებში, რომლებშიც სარჩელი დაუშვებელია. აღნიშნული შეეხება ასევე მხარეებს შორის ამ სამართლებრივი დავის წინა პროცესსაც, რომლის ფარგლებშიც სასამართლო პროცესი შეწყდა საარბიტრაჟო დათქმის არსებობის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა იმაზე, რომ დაუშვებლობა არ იყო სახეზე იმ მომენტში, როდესაც სარჩელი შეიტანა მხარემ. სარჩელი დაუშვებელი გახდა მხოლოდ საარბიტრაჟო დათქმის შესახებ პრეტენზიის გაცხადების მომენტში. ამასთანავე, არ არსებობს რაიმე გონივრული მიზეზი, რომელიც გაამართლებდა დაუშვებელი

სარჩელის უზრუნველყოფას. გერმანიაში დაუშვებელი სარჩელის უარყოფა ხორციელდება გადაწყვეტილების საფუძველზე. ის, რომ საქართველოში მოცემულ შემთხვევაში დავის განჩინებით შეწყვეტა ხდება, ეს მხოლოდ არაარსებითი, ფორმალური განსხვავებაა. დაუშვებელი სარჩელის შემთხვევაშიც ასევე სახეზეა მოსარჩელე, როგორც პროცესის „წამები“. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უზენაესმა სასამართლომ ამგვარი მიდგომა აღიარა გადაწყვეტილებაში 53-ე მუხლის რედაქციის დამატებასთან დაკავშირებით და ამ შემთხვევაში მოპასუხის სასარგებლოდ გადაწყდა საპროცესო ხარჯების დაკისრება. ეს მიდგომა უნდა გავრცელდეს წინამდებარე პროცესშიც.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარჩელი დასაშვებია და სასამართლოს მიერ ის დასაბუთებულად ჩაითვლება, მოპასუხეს უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა, თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ იყო გამართლებული. გადაწყვეტილებით მხოლოდ ის დგინდება, რომ არსებობს უზრუნველყოფილი მოთხოვნა. გადაწყვეტილებით დადგენილი ეს გარემოება ასევე სავალდებულოა ზიანის ანაზღაურების პროცესისთვისაც. თუმცა იმ საკითხთან დაკავშირებით, საჭირო იყო თუ არა სარჩელის უზრუნველყოფა, სასარჩელო პროცესის ფარგლებში გადაწყვეტილება არ მიიღება. ამგვარად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლებელია, გაუმართლებელი ყოფილიყო. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუკი არასწორი აღმოჩნდება ის, რომ საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე ექმნებოდა. მოცემულ პროცესში მოსარჩელე მოითხოვდა საზოგადოებიდან გასვლას და 11%-იანი წილის კომპენსაციას. სარჩელის უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაბუთებული, თუკი მოსარჩელე წარმოადგენდა ფაქტებს, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა აღნიშნული 11%-იანი წილის ღირებულების კომპენსაციას. ძნელად წარმოსადგენია, რომ არსებობდა იმგვარი ფაქტი, რომელიც გაამართლებდა იმჟამინდელი მოპასუხის 100%-იანი ქონების დაბლოკვას. ზიანის ანაზღაურების პროცესში ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ამის სრული მოცულობით გადამოწმება.

გერმანიაში სადავო არ არის, რომ ზიანის ანაზღაურების პროცესში გასათვალისწინებლად სავალდებულოა უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობის ან არარსებობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება. გარდა ამისა, დისკუსიის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების პროცესისთვის სავალდებულოა თუ არა ის გადაწყვეტილება, რომლითაც მოიხსნება ყადაღა ან დროებითი განკარგვის ღონისძიება. არსებობს არგუმენტი, რომ შეწყვეტით „დამტკიცებული იქნა“ ის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება არ იყო გამართლებული. ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ წარსულში ასეთი გადაწყვეტილებაც მიიღო, თუმცა ამჟამად საკითხი კვლავ ღიადაა დატოვებული.¹⁹ სხვა მხრივ კი არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის ანაზღაურების პროცესთან არანაირი კავშირი არ არის წინა პროცესების (სასარჩელო პროცესი და ყადაღის/დროებითი განკარგვის პროცესი) გადაწყვეტილებებთან. ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945-დან გამომდინარე მოთხოვნებთან მიმართებით მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის განაწილება. ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ეს განმარტა ერთ დავაში, სადაც ორივე წინა პროცესში დავის ძირითად საგანზე მხარეები მორიგდნენ და ეს პროცესები დასრულდა მხოლოდ ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებით²⁰: მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი რომ მან შეუსაბამო ზიანი განიცადა დროებით განკარგულებაში გადაცემის ან ყადაღის შედეგად. საჭირო არ არის იმის

მტკიცება, რომ დროებით განკარგულებაში გადაცემა (ან ყადაღა) არ იყო გამართლებული. და პირიქით, მოპასუხეს ეძლევა შესაძლებლობა, დაამტკიცოს, რომ დროებით განკარგულებაში გადაცემა (ან ყადაღა) გამართლებული იყო. ქვემოთ ვცეტირებ გადაწყვეტილების მე-6 თეზისს:

„6. ის, ვისაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945 1. ალტერნატივის შესაბამისად მოთხოვნა წაეყენება, ატარებს იმის წარმოჩენისა და მტკიცების ტვირთს, რომ მისი განცხადება დროებით განკარგვაში გადაცემასთან დაკავშირებით იმთავითვე გამართლებული იყო.“

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ მოსარჩელის მტკიცების ტვირთზე მსჯელობით. მე ვერსად ვიპოვე ფრაზა იმის შესახებ, თუ რა მტკიცების ტვირთის მატარებელია მოპასუხე. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ სასამართლოები ზოგადად მისდევენ სარჩელის უზრუნველყოფის თეორიას, რაც საბჭოთა სამოქალაქო პროცესიდან მომდინარეობს. საქალაქო სასამართლო მოსარჩელის სარჩელის უზრუნველყოფის უფლებას სამოქალაქო პროცესის ზოგად პრინციპად აცხადებს. სასამართლოს არ სურს, აღნიშნული უფლება შეიღახოს იმით, რომ მოსარჩელეს 199.3-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ემინოდეს. არ არის აღიარებული, რომ აღსრულება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოადგენს „განსაკუთრებულ მოვლენას“. ასევე არ არის აღიარებული, რომ ეს ზიანს აყენებს მოპასუხეს, რომლის უფლებებშიც ხორციელდება ჩარევა. მოსარჩელის შიში შესაძლო ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე კიდევ უფრო იზრდება იმით, რომ მოსარჩელეს შეიძლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. აღნიშნული უზრუნველყოფა, შვეიცარიის პარალელური რეგულაციის²¹ ერთ-ერთ კომენტარში, „დაშინების“ ან „გარანტორის“ როლს ასრულებს იმდენად, რამდენადაც განმცხადებელს აფერხებს, დაუდევრად დააყენოს დაუსაბუთებელი განაცხადი. აქვე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით ნათქვამია²²:

„პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად მიიჩნევა ... არა მხოლოდ მთლიანად გაუმართლებელი ღონისძიება, არამედ ყველა განკარგულება, რომელიც არასათანადოდ ზღუდავს მოპასუხე მხარის უფლებებს, ... მხედველობაში მიღებული უნდა იქნას ასევე ის შემთხვევა, როდესაც - ღონისძიების გამოყენება აღარ არის გამართლებული და განმცხადებელი არ გამოასწორებს ამ ვითარებას.“

ფართო განმარტებაზე უარის თქმას საქალაქო სასამართლო ერთგვარად აფუძნებს მორიგებით შეწყვეტის შემთხვევაზე. თუმცა მორიგებამ როგორც წესი, ასევე რაციონალურად უნდა დაარეგულიროს ზიანის ანაზღაურების საკითხიც. საქალაქო სასამართლოს მიერ მოხმობილ პროცესის შეწყვეტის ან არ ჩატარების ყველა სხვა შემთხვევები, ისევე როგორც წინამდებარე შემთხვევა, იძლევა მხარის, როგორც „წაგებულ“ მხარედ განხილვის საფუძველს. სსკ-ის 199.3-ე მუხლის ვიწრო განმარტებას უპირველეს ყოვლისა, მივყავართ იქამდე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებით მრავალ შემთხვევაში მოპასუხის უფლებებში ჩარევა ხდება ისე, რომ მას არ ეძლევა შანსი ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოებით გადამოწმდეს, იყო თუ არა ღონისძიება გამართლებული. სააპელაციო სასამართლოს, როგორც ჩანს, სურს ამის გასამართლებლად საკმარისად მიიჩნიოს ის, რომ საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფის შესაძლებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული შეფასების სხვაგვარი გაგება, რომ სასამართლო სხვა დამატებითი საფუძველების გარეშე უშვებს, რომ

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამართლებული იყო, მე არ ძალმიძს. ამასთანავე მხედველობის მიღმა რჩება ის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინება გამოცემული იქნა სრული მტკიცებულებების მოპოვების გარეშე. უზრუნველყოფის მართებულობა გადასინჯვას უნდა ექვემდებარებოდეს ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების ფარგლებში.

9. 199.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოწესრიგება არ არის ამომწურავი

მაშინ, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დაინახა სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის არსებობის შესაძლებლობა, სააპელაციო სასამართლო ამას იმთავითვე გამორიცხავს. მიზეზად დასახელებულია ის, რომ 199.3-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და სხვა მოთხოვნებს გამორიცხავს. როგორც ჩემთვის ცნობილია, სააპელაციო სასამართლომ ამგვარი მიდგომა წარსულშიც გამოიყენა²³. სხვა მიზეზად დასახელებული იქნა, რომ სასამართლოსთვის სარჩელით ან განცხადებით მიმართვის უფლება კონსტიტუციით დაცულ უფლებას წარმოადგენს. აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ. აღნიშნული პრინციპი ასევე ხაზგასმულია გერმანულ მართლმსაჯულებაშიც. ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ გადაწყვეტა, რომ მოსარჩელე არ შეიძლება დავადანაშაულოთ სამართლებრივი სიტუაციის არასწორად შეფასებაში. სახელმწიფოებრივად დადგენილი პროცესის დაწყება არ შეიძლება შეფასდეს დელიქტად იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოთხოვნა საგნობრივად გაუმართლებელია და ზიანს აყენებს მოპასუხეს. თუმცა, ამასთანავე ხაზი გაესვა იმას, რომ ეს მიდგომა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე კეთილსინდისიერად მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა, იმ დასაბუთებით, რომ საპროცესო სამართლის წესები მოპასუხეს გაუმართლებელი უარყოფითი შედეგებისგან იცავს.

ის, თუ რა იგულისხმება ამაში, შესაძლებელია აიხსნას მაგალითით, რომელიც ფედერალური უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდმა პალატამ განიხილა.²⁴ საქმე ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევას. მაშასადამე პროცესს, რომელიც სპეციალურად რეგულირებულია საქართველოს სსკ-ის XLIV თავში¹². ამ შემთხვევაში არსებობს ეგრეთ წოდებული „გაფრთხილების“ პრაქტიკა. საკუთრების უფლების მქონე პირი მიუთითებს სავარაუდო დამრღვევზე, რომელიც ბაზარზე მისი კონკურენტია, რომ მან თავისი პროდუქტით დაარღვია საკუთრების უფლება და მისგან მოითხოვს, შეაჩეროს ეს ქმედება და ამავდროულად აღიაროს ფულადი ჯარიმა, შეუსრულებლობის შემთხვევაში. გაფრთხილება შესაძლებელია გაეგზავნოს კონკურენტს ან მის კლიენტებსაც, რამდენადაც ისინი მის პროდუქტს ყიდულობენ და ამგვარად ასევე არღვევენ საკუთრების უფლებას. ეს სრულიად ლეგალური და ლეგიტიმურია, როცა არსებობს საკუთრების უფლება და მას არღვევს კონკურენტი. გერმანიაში დიდი ხანია არსებობს 1904 წლის გადაწყვეტილებაზე დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც შეეხება საქმეს, რომლის თანახმადაც სავარაუდო დაცვის უფლება არ არსებობს თუ კონკურენტის მიერ ეს უფლება არ დარღვეულა. მართლმსაჯულება ამბობს, რომ გაფრთხილება არამართლზომიერ ქმედებას წარმოადგენს, თუკი გაფრთხილების მიმცემი პირი დაუდევრად მოქმედებდა მაშინ, როდესაც ის ამტკიცებდა საკუთრების უფლების დარღვევას. აღნიშნული არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი ის სავარაუდო უკანონო ქმედების შეწყვეტის შესახებ განაცხადს სასამართლოში წარადგენს (ჩვეულებრივ განაცხადი დროებითი განკარგვის დადგენილების გამოცემაზე). მოცემულ შემთხვევაში

მოქმედებს ზემოთ ხსენებული სასამართლოს გზით უფლებების განხორციელების პრივილეგია. ფედერალური უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ პალატას სურდა განმცხადებლის ზემოაღნიშნული სასამართლო პროცესის პრივილეგია გაეგრძელებინა არასასამართლო წესით გაფრთხილებაზეც. ეს უარყო დიდმა პალატამ და დარჩა მანამდე არსებული პრაქტიკის პოზიციაზე. არსებით არგუმენტად დასახელდა, რომ მოპასუხე დაცულია საპროცესო სამართლის ნორმებით, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945 - ით, მაშინ როდესაც ბრალეულად გაუმართლებელი არასასამართლო გაფრთხილების შემთხვევაში დაცვა ეფუძნება დელიქტის მომწესრიგებელ ნორმებს.

სარჩელის უზრუნველყოფის პროცესში საპროცესო სამართალი მოპასუხეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945 - ით აძლევს გაუმართლებელი პროცესისგან საკმარის დაცვას, განმცხადებლის ბრალეულობის დადასტურება არ არის სავალდებულო. აქედან გამომდინარე, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, სრულიად უმნიშვნელოა, გამომდინარეობს თუ არა განმცხადებლის მოთხოვნა დელიქტიდან, ვინაიდან აღნიშნულ მოთხოვნას სხვა წინაპირობებიც გააჩნია. ფორმალურად ამგვარი მოთხოვნა არ არის გამორიცხული და საქართველოშიც ვერ ვხედავ საფუძველს რის გამოც ის უნდა გამორიცხულიყო. ზემოთ მოცემული არგუმენტი, რომ სარჩელის შეტანა ან განაცხადის წარდგენა კანონსაწინააღმდეგო არ არის, სინამდვილეში უკვე იმის გადამოწმებაა, არსებობს თუ არა დელიქტური მოთხოვნის წინაპირობა. წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით საქართველოშიც არ დადგებოდა პრობლემა ამგვარი სიმწვავეით, თუკი უარი ეთქმებოდა სსკ-ის 199.3-ე მუხლის ვიწრო განმარტებას. ჩემი შეხედულებით საქმე გვექნებოდა დაბალანსებულ პრაქტიკასთან, თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მეტისმეტად გულუხვ გამოყენებასთან დაპირისპირებული იქნებოდა ასევე თანაზომიერად გულუხვი ზიანის ანაზღაურების რეგულაცია. სარჩელის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიების შემთხვევაში და ასევე ახალ XLIV¹² თავში, კანონი გამოდის იქედან, რომ მოპასუხის უფლებებში ჩარევა გამართლებულია, რადგანაც ის „სამართალდამრღვევია“. მაშინ ამ უკანასკნელს ასევე უნდა შეეძლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ ეს ასე არ აღმოჩნდება.

10. დელიქტის საფუძველზე არსებული შესაძლო მოთხოვნა

ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ პროცესუალური პრივილეგიის პრინციპი იმგვარად წარმოადგინა, რომ მას, ვინც სასამართლო პროცესს წარმართავს, ასე ვთქვათ, დაუდევრობით დაშვებული შეცდომის უფლება გააჩნია:

